განკარგულება:**გ-49. 492605811**
თარიღი:**27/02/2026**

ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა №25-ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობის (საკ. კოდი N29.08.34.014) პირველ სართულზე განთავსებული 33.6 კვ.მ. ფართის წყალტუბოს მუნიციპალიტეტში შშმ პირთა პერსონალური ასისტენტის დანერგვისა და განვითარების მიზნით , შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პოლიტიკის ინსტიტუტისათვის, , 2 (ორი) წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 20 თებერვლის 48-48260512 წერილი, რომელშიც ითხოვს თანხმობას ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა №25-ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობის (საკ. კოდი N29.08.34.014) პირველ სართულზე განთავსებული 33.6 კვ.მ. ფართის წყალტუბოს მუნიციპალიტეტში შშმ პირთა პერსონალური ასისტენტის დანერგვისა და განვითარების მიზნით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პოლიტიკის ინსტიტუტისათვის, 2 (ორი) წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, გადაცემის შესახებ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 122-ე მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა №25-ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობის (საკ. კოდი N29.08.34.014) პირველ სართულზე განთავსებული 33.6 კვ.მ. ფართის წყალტუბოს მუნიციპალიტეტში შშმ პირთა პერსონალური ასისტენტის დანერგვისა და განვითარების მიზნით , შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პოლიტიკის ინსტიტუტისათვის, 2 (ორი) წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, გადაცემის შესახებ.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას .

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი